დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ელექტრონული ფორმით განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ელექტრონული ფორმით განხორციელების წესის (შემდგომში „წესი“) მიზანია განსაზღვროს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „თსუ“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლების პროცედურები.

2. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული - როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.

3. ელექტრონული სწავლების პროცესში კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მასში შემავალი მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის სწავლება და შეფასების პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს აუდიტორიაში/პრაქტიკის ობიექტზე/ლაბორატორიაში სპეციალური გრაფიკის გამოყენებით.

4. ელექტრონული სწავლების პროცესი აგებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მისი დაძლევის შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

5. წინამდებარე წესი მოქმედებს ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პერიოდში როდესაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს ეძლევათ უფლება სასწავლო პროცესი წარმართონ შერეული სწავლების ფორმით, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირისპირ სწავლებასთან ერთად აერთიანებს ონლაინ/დისტანციურ სწავლებას.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული სწავლების პროცესში გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები

1. თსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული სწავლების სასწავლო პროცესში ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „LMS“, სასწავლო პლატფორმა Moodle (e-learning-ზე) თსუ-ს დომენით შექმნილი ელექტრონული ფოსტა.

2. ელექტრონული სწავლების სასწავლო პროცესში სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული უნდა იყოს ონლაინ პლატფორმა „Zoom“.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლების პირობებში

1. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრი (შედგომში - „ცენტრი“) თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეთანხმების მიზნით წარუდგენს კონკრეტულ დროზე გაწერილ გეგმას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ასინქრონული/სინქრონული ელექტრონული ფორმატით განხორციელებისთვის.

2. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, იწყება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება წინამდებარე წესის შესაბამისად.

3. როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული კომუნიკაციისას, მასწავლებელი მოდულის გაციფრულებულ სასწავლო რესურსს/მასალებს (სასწავლო ლიტერატურა, სალექციო კურსები და ჩანაწერები, სალექციო პრეზენტაციები და სხვ.) სასწავლო კვირის დაწყებამდე აწვდის პროფესიულ სტუდენტ(ებ)ს თსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (თსუ პროფესიული სტუდენტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტად ითვლება cve.tsu.ge დომენის გამოყენებით გახსნილი ელექტრონულ ფოსტა) ან სასწავლო პლატფორმა Moodle-ზე ელექტრონული კურსის განთავსებით (e-learning-ზე), შესაბამისი აუცილებელი მითითებებითა და ინსტრუქციით, რაც პროფესიულ სტუდენტებს საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვასა და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესს გაუადვილებს. სასწავლო პლატფორმა Moodle-ზე სასწავლო მასალა უნდა განთავსდეს თითოეული სასწავლო კვირის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი დღით ადრე.

4. სინქრონული კომუნიკაციისას მასწავლებელი სალექციო აქტივობას განახორციელებს ონლაინ პლატფორმა zoom-ის მეშვეობით ცხრილით მითითებულ დროს.

5. მასწავლებელის მიერ ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგს ახორციელებს თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრი.

6. წინამდებარე წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სპეციალური გრაფიკის გამოყენებისას აუდიტორიაში/პრაქტიკის ობიექტზე/ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტების დასწრება და რაოდენობა ისე უნდა გადანაწილდეს, რომ დაცული იყოს კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების პირობებში შეფასებების ჩატარება

1. განმსაზღვრელი შეფასების - **გამოკითხვის მიმართულება** უნდა განხორციელდეს სასწავლო პლატფორმა Moodle-ის გამოყენებით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A,B გარემოში, სადაც დაცული უნდა იყოს კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

2. განმსაზღვრელი შეფასების - პროცესზე დაკვირვებისა და პროდუქტის/შედეგის შეფასება უნდა განხორციელდეს ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით, გარდა წინამდებარე წესის პრველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. განმსაზღვრელი შეფასების - **პროცესზე დაკვირვების შეფასების პროცესი** უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურით:

ა) მასწავლებელი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით (მასწავლებლის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა გახსნილია tsu.ge-ის დომენის გამოყენებით) პროფესიულ სტუდენტს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის შეფასების ინსტრუმენტს გასაცნობად;

ბ) შეფასების ინსტრუმენტში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი პროფესიული სტუდენტის დავალება და შეფასების დადასტურების პროცედურა სხვა სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად, რაც არის განსაღვრული შეფასების ინსტრუმენტის ფორმით;

გ) მასწავლებელი ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით უკავშირდება პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უნდა ჰქონდეს ჩართული ვიდეო კამერა, მიკროფონი და შეფასების ინსტრუმენტით გაწერილი დავალების შესრულება უნდა მოხდეს პირდაპირი დაკვირვების (Live) რეჟიმში;

დ) მასწავლებელი შეფასების მთელ პროცესს იწერს ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით და შეფასების ინსტრუმენტს თან ურთავს მტკიცებულებად, სხვა არსებულ მტკიცებულებებთან ერთად;

4. განმსაზღვრელი შეფასების - **პროდუქტის/შედეგის შეფასების პროცესი** უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურით:

ა) მასწავლებელი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით პროფესიულ სტუდენტს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის შეფასების ინსტრუმენტს გასაცნობად;

ბ) შეფასების ინსტრუმენტში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი პროფესიული სტუდენტის დავალება და შეფასების დადასტურების პროცედურა სხვა სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად, რაც არის განსაღვრული შეფასების ინსტრუმენტის ფორმით;

გ) მასწავლებელი ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით უკავშირდება პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უნდა ჰქონდეს ჩართული ვიდეო კამერა, მიკროფონი და შეფასების ინსტრუმენტით გაწერილი დავალების შესრულება უნდა მოხდეს პირდაპირი დაკვირვების (Live) რეჟიმში;

გ) მასწავლებელი შეფასების მთელ პროცესს იწერს ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით და შეფასების ინსტრუმენტს თან ურთავს მტკიცებულებად, სხვა არსებულ მტკიცებულებებთან ერთად;

დ) შეფასების ვადის ამოწურვის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დავალებას უგზავნის მასწავლებელს სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე;

5. წინამდებარე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გაწერილი შეფასების პროცესი დასრულებულად ჩაითვლება:

ა) როდესაც მასწავლებელი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურება/ვერ დადასტურების საკითხს;

ბ) შეფასების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები დავალების ადეკვატურია;

გ) შეფასების პროცესის ამსახველი ვიდეო მასალა ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით არის ჩაწერილი, სადაც ირკვევა მკაფიოდ პროფესიული სტუდენტის ხმა და ნათლად ჩანს პროფესიული სტუდენტის თითეული მოქმედება (წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების ჩატარებისას ჩანაწერის გაკეთება არაა სავალდებულო);

6. მასწავლებელი დასრულებულ შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ს და ყველა მტკიცებულებას (მტკიცებულებები იგზავნება დანომრილი დანართების სახით) სამსახურებრივ ელექტრონული ფოსტიდან აგზავნის ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (cve@tsu.ge). წერილში უნდა მიეთითოს, რომელი პროფესიული პროგრამის, მოდულის და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტია.
7. დასრულებული შეფასების ინსტრუმენტი ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა გამოიგზავნოს განმსაზღვრელი შეფასების ჩატარებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღეში.
8. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მასწავლებლის მიერ გამოგზავნილ დასრულებულ შეფასების ინსტრუმენტებს CD/DVD დისკზე ჩაწერილს ინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისებთან ერთად.

მუხლი 5. ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირება

ელექტრონული სწავლების პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების ჯგუფი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ტექნიკურ საკითხებში მხარდაჭერა, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის კონსულტირება და სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის მონიტორინგი (მათ შორის, ონლაინ ლექციებზე, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება).

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. თსუ-ს პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
ა) მიიღოს დეტალური ინფორმაცია თსუ-ში ელექტრონული სწავლების შესახებ;
ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია ცენტრის უფლებამოსილი პირისაგან ელექტრონული სწავლების სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
2. თსუ-ს პროფესიულ სტუდენტის მოვალეობები:
ა) თსუ-ს წინაშე ხელშეკრულებითა და შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს თსუ-ს მიერ შეთავაზებულ ელექტრონული სწავლების პროცესში და ისწავლოს ყველა ის მოდული, რომელიც განხორციელდება ელექტრონული სწავლების პროცესში.
ბ) გონივრულ ვადაში აცნობოს ცენტრს ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

მუხლი 7. ელექტრონული სწავლების პროცესში მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები

1. მასწავლებელს უფლება აქვს:
ა) მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში ელექტრონული სწავლების შესახებ;
ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაციები და დახმარება ცენტრში შექმნილი ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების ჯგუფისგან;
გ) მიიღოს ზუსტი ინფორმაცია სასწავლო ცხრილისა და ჯგუფში პროფესიული სტუდენტების შესახებ;

2. მასწავლებელი ვალდებულია:

ა) უნივერისტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერისტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს სწავლების ელექტრონული კომპონენტის (როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული) დანერგვის პროცესში;

ბ) უზრუნველყოს მოდულის ელექტრონული სასწავლო მასალების (ლექციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი ან ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია ხმით ან ხმის გარეშე და სასწავლო რესურსის, ტექსტური, აუდიო ან ვიდეო მასალა, დავალებები და სხვ.)მომზადება;

გ) უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი

1. ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალა, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი", წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც პროფესიული სტუდენტების, ასევე მასწავლებლის მიერ მათი მოსმენისას, ტექნიკური დამუშავებისა და შენახვისას.

2. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს მათი საჭიროებების გათვალისწინებითა და პირადი სივრცის პატივისცემის პრინციპის დაცვით, რადგან ელექტრონული (ონლაინ) სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი.

3. სასწავლო პროცესის ის საკითხები, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე წესით უნდა გადაწყდეს თსუ-ის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ის ნორმების საფუძველზე.